სანდრო პაპა

ჯამოცანის ამოცანა

თბილისი
2015

რედაქტორი

კობა ბედოიძე

წინამდებარე პატარა რვეულში ავტორის მიერ სხვადასხვა დროს დაწერილი გამოცანებია თავმოყრილი. გამოცანები ბევრ საკითხს ეხება და წამკითხველსაც ბევრნაირი აზრი წარმოუჩნდება. მთავარია, რომ გამოცანამ ადამიანის ჭკუა ალესოს და გამოაფხიზლოს.

წიგნი დაკაბადონდა

http://bedoidze.site.ge/

გამოცანის ამოცანა

რომ იტყვიან „გამოცანა“
რაა მისი ამოცანა?
დაფიქრდები, თუ მიხვდები
დაგამძიმებს ცოდნა განა?

რას ისწავლი, რას გაიგებ
აჩრდილივით დაგდევს თანა
მეტი განძი ვერსად ნახო
ვერც დამხმარე ამისთანა

ცოდნა მაშინ არი ცოდ.ნა
თუ ამატებ თანდათანა
ჭკვასაც ისე, როგორც დანას
ლესვა უნდა ხან და ხანა

დიდი ცოდნა მახვილია
სალესავი გამოცანა
ტვინი ლესო, ცოდნა თესო
ცხოვრებაში არ ღირს განა?

ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ

ღმერთი ჩვენშია...
მასშია:
გონება, ძალა და სული
ისაა ხვალის იმედი
აწმყო და გრძელი წარსული.

გონებამ შექმნა სამყარო
ძალამ მიკარგა-მოკარგა
სულმა სიცოცხლე შთაბერა
და ათას ფერად მოქარგა.

ღმერთს ყველა სახავს ისეთად
როგორც გაუჭრის გონება
მასში ვარსებობთ, ვერა ვცნობთ
და ყველას გაგვეგონება

ზოგი შავ ქვაზე ლოცულობს[1]
ზოგს მიაჩნია მთა წმინდა
თუ უკითხიათ ღმერთისთვის
ასე გინდა თუ არ გინდა?

ჩვენშია მცდარიც, მართალიც
ჩვენვე ვუწოდეთ სახელი
ანგელოზის თუ ეშმაკის
სხვაგან ვინაა მნახველი?

1. მუსულმანებისათვის მექაში არსებული შავი ქვა წმინდად ითვლება.

ვინა ვართ საკნში ჩავსვათ
უფალი ყველგან მყოფელი
ცოდვა-მადლს ფასი დავადოთ
ვაწვალოთ წუთი-სოფელი

. . .

სახლს რომ აგებენ ღმერთისთვის
იქ მყოფთა რაა მიზანი?
ვინც სინამდვილეს ჩაწვდება
იმან თქვას: გამოვიცანი.

ღვთიური გამოცანა

იყვნენ ღმერთები და გვიფარავდნენ
იყო ურ-ბაუ, იყო ურ-ნინა
შემდეგ მოვიდნენ ახალგაზრდები
ახლებმა ძველებს თუ აწყენინა

წყენა დამიწდა.. გეო-ურანმა
სულ სხვანაირი მოგვცეს ხალისი
ზევსი და ჰერა, მითრა, კიბელა
არმაზი გახდა მოწმე ამისი...

რამდენი ღმერთი გამოიცვალა
რამდენის ჰქონდათ შიში და რწმენა
რამდენმა რამდენს თხოვა, ევედრა
არავინ იცის, ვერ იტყვის ენა...

დრონი იცვალნენ. დღეს ალაჰია
იესო ქრისტე, კრიშნა და ბუდა
იყო მცდელობა ლენინ-სტალინის
მაგრამ ვერ შეძლეს, ვერ დაიბუდა.

. . .

ნეტავ ვიცოდე: ვინმემ თუ იცის
ხვალე ახალ ღმერთს რა ეწოდება?
არი სამყარო – ადამიანი
რას გადაწყვეტენ და რა მოხდება?

დაბადების გამოცანა

ქვეყნად ვინმემ თუ ამოხსნა
დაბადების გამოცანა
დაბადებულს თუ აუხსნა
რაა მისი ამოცანა?..

ყოველი დღე ნაბიჯია
სიკვდილისკენ სიარული
ეს თუ იცის, რატომაა
შემართული, მხიარული?

ცხოვრების გამოცანა

მოდის თაობა, მიდის თაობა
რჩება იმედი, მისი რაობა
მისთვის მზაობა და უძრაობა
უქნარაობა და ბურთაობა

აქ კინკლაობა, იქ კირთაობა
იქ ხტუნაობა, აქ გორაობა
მისთვის დიდობა, პატარაობა
გვარიანობა და უგვარობა

თავიანობა და უთაობა
მათი ერთობა, მათი სხვაობა

. . .

რაა მიზანი? რისი რაობა?
რაა შედეგი?.. არა... რაობა?

მიწის გამოცანა

სიკვდილ-სიცოცხლეს შორის ვართ
როგორც მძევლები მიწისა
გვინდოდეს, მაინც ვერ დავთმობთ
ერთგულები ვართ ფიცისა

მიწა გვშობს, მიწა გვინახავს
და ბოლოს მიწად ვიქცევით
რაც უნდა გავხდეთ, მას ვებრძვით
ნეტავ ასე რად ვიქცევით?

იქ ვანგრევთ, იქით ვაშენებთ
კაჟ-აბედივით მკვესავი
ზოგი ჭედს, ზოგი ამშვენებს
ავის და კარგის მთესავი

ჩავალთ მიწაში, რა გვრჩება
თან ვინ რისია წამღები
ან სად მოვხვდებით, ვინ იცის
ვინაა მნახველ-გამგები?

. . .

ჩვენი ჭიდილი მიწასთან
აზრია ამაღლებული
სიკვდილ-სიცოცხლის ბრძოლაში
ვინ რჩება გამარჯვებული?

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲣᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ

ბრძენკაცს უთქვია: ლეკვები,
მხოლოდ ლეკვები ლომისა
ლომები ძალით, გონებით
გადამხდელები ომისა

ორნივ ტოლია ამ ქვეყნად
ძუ იყოს, თუნდა ხვადია
იმის ახდენა შეიძლოს
რაც თავად დაუქადია.

სხვაფრივ ძუ მაინც ძუ არი
და ხვადიც ხვადად დარჩება
თუ ვერ ლომობენ, იმ ქვეყნად
წავლენ, ამ სოფელს რა რჩება?

ძუ-სა და ხვადის სხვაობა
ბუნებას დაუდგენია
რად ცდილობს ზოგი ცუნდრუკი
შეცვალოს უფლის გენია?

ქალობას ნატრობს უგვანი
ბერბიჭა, გინდა ცვედანი
სახე შეცვლილი, – ასლია
ღვთის დანაბადი, – დედანი
. . .
რატომ ცდილობენ მავანნი
კაცები ქალით შეცვალონ?
ვინც ჭკვიანია, – მიხვდება
ისეთნი, ისევ ეწვალონ.

გამოცანის გამოცანა

კაცზე იტყვიან, – ქაჯია
თუ ღალატობენ, – რქიანი
თუ ვერ მიხვდება, – წახდება
სახელს მოუვა ზიანი...

ქალი ათასად ფასდება
თუ ერთგულია ფიცისა
ქალი თუ მხოლოდ ქალია
ეშმის ბუნება იცისა...

ქალი თუ კაცებთან კაცობს
თანხმობა როგორ იქნება?
ბუნებას მაინც ვერ შეცვლის
კაცად ვერ გარდაიქმნება...

რა სჯობს ცოლ-ქმარის თანხმობას
მზეც, მთვარეც მათთვის ამოდის
კაცზე თუ ითქვა, რქიანი
ქალზე კი როგორ გამოდის?
. . .
გამოცანაა ასეთი:
ქალის და კაცის არსება
თუ ღთვთისგან დადგენილია
ზოგჯერ სხვაგვარად რად ხდება?..

ყოველდღიური გამოცანა

ეს გამოცანა ყველას წინ ჩნდება
მაგრამ გაგება სხვაგვარად ხდება
იყო კეთილი, სიკეთე თესო
სხვისთვის ინდომო საუკეთესო

როგორი უნდა გქონდეს აზრები
რისთვის იბრძოლებ, რისთვის დაშვრები
ეს დაწვრილებით გასარჩევია
მაგრამ გარჩევა ვისა ჩვევია?

ერთად ირევა კარგი და ავი
ცხოვრება არი მათი ნაზავი
ადამიანად მაშინ ივარგი
თუ წუთისოფლის არა ხარ ბარგი

. . .

უნდა დაფიქრდე: შენი ბუნება
რომელ გაგებას ესალბუნება?

შერეული გამოცანა

ცოდვებისგან განსაწმენდად
ტაძარში რომ კაცი შევა
უნდა მადლი ამოიცნოს
რაშიც თავად ვერ ერკვევა

გამოვა და ცოდვებს სჩადის
ასეთი აქვს წესი-ჩვევა
ტყუვდება თუ ღმერთს ატყუებს
მას მორწმუნე დაერქმევა?
...
ქვეყნის თავი, მეთაური
სიცრუეს რომ მიეჩვევა
თავს შეიქებს, სხვას გალანძღავს
ცუდი კარგში აერევა

ხალხში გავა... ვერ გააგდებ
არც სჭირდება თხოვა-წვევა
სად გპირდება, იქ გატყუებს
შენგან ასეთს რა ერქმევა?
...
ფიქრობ, არი მეგობარი
შენთვის აკვნად გადირწევა
ავშიც, კარგშიც, გიერთგულებს
გსურდეს, ვარსკვლავს მიეწევა

ამ დროს, შენგან ნაპატივებს
სხვისკენ თვალი გაექცევა
შენ გიღიმის, იმას უმზერს
მას ერთგული დაერქმევა?
...
ჭიდაობა შეჯიბრია
უნდათ სცადონ მძლეთა ძლევა
ხალიჩიდან არ გაქცევა
მხოლოდ მკლავის გადაწვა

შეჯიბრისას მოჭიდავე
მეტოქეს რომ წაექცევა
იმათ შორის მოჭიდავე
შენგან რომელს დაერქმევა?
...
მშობელი რომ პატარას ზრდის
ეფერება, გადაყვება
საპასუხოდ რას ღებულობს
სხვაზე დარდით რატომ დნება?

რაც იზრდება, რაც სჭირდება
მშობლის საფიქრალი ხდება
ის მოითხოვს რაც უნდება
მშობლის ბედზე არ ფიქრდება

ხანი გავა, ოჯახდება
მშობლის ვალი ამით წყდება?
თუ პირიქით? მძიმე ტვირთი
დამძიმდება, ორმაგდება

რა დიდია სიხარული
შვილს რომ შვილი ეყოლება
. . .
თუ მიხვდები რატომ ხდება
მესამეჯერ იბადება?

რუსთაველის გამოცანა

შოთას უთქვია დიდებულს:
„რასაცა გასცემ შენია“
მოისმენ, გაგეცინება
რა ჩიტი აუფრენია

თუ გასცემ, – დაგეკარგება
ის შენი როგორ გახდება
მაგრამ მოშურნეთ სურვილი
ამ გზით უცილოდ ახდება...

ახლა სხვა მხრიდან შევხედოთ
ვინც იბადება, – მოკვდება
ყელამდე იჯდეს ოქროში
რაც უწერია, – მოხდება

ვერას უშველის სიმდიდრე
ვერც თვალი პატიოსანი
ერთგვარად წავლენ იმ ქვეყნად
მუშა, გლეხი და მგოსანი

ვინც იბადება, – მოკვდება
დარჩება მხოლოდ სახელი
უკვდავად შემორჩენილი
სხვაგვარ ვინაა მნახველი?

...
ასარჩევია კაცთაგან
რაც სიბრძნით შენაძენია
არ გასცემ, – დაგეკარგება
გასცემ სახელად შენია
...
გამოცანაა ასეთი
ვისაც როგორ სურს გაიგოს
სიხარბით მიწყივ აგროვოს
სახელის ძეგლი აიგოს

გამოცდილი გამოცანა

„ეს მამაძაღლი“ – ალერსით ვიტყვით
ღმერთმა გვიმრავლოს მამაძაღლები
თუ პატარები არ გიტაცებენ
მათზე ზრუნვაში არ დაიღლები
მაშინ რა არის ცხოვრების გემო
რას შეჰხარიან ჩვენი თვალები?..

წლები გაივლის, ისევ ალერსით
„როგორც იზრდება, ისე ვირდება“...
დროს სად წაუვალთ, თაობა მოდის
რაცაა ჩვენი იმათი ხდება...

. . .

ასე ყოფილა, ასე იქნება
შედეგიც ნულარ გაგვიკვირდება
ბატონდებიან „ძაღლებ-ვირები“...
ასე ნათქვამი ვის მოუხდება?

ᲛᲘᲙᲘᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ

ვინცხამ ვინცხას უქნა რაცხა
რაცხა ვინცხას მიტომ დაცხა
როცა ვინცხას რაცხა დაცხრა
ვინცხამ ვინცხას უთხრა აცხა

. . .

ვინცხას რაცხა რაკი ჩაცხრა
რაცხა ვინცხას ჩაეფარცხა?

ᲨᲐᲠᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ

ამინდია ქარიანი...
ბრაზობს კაცი შარიანი
უაზრო ქარს, აჯობებდა
წვიმა იყოს გვარიანი

ზეცამ თითქოს გაიგონა
წამოვიდა წვიმა თქეშით
კაცი ამინდს ემდურება:
ასხამს კოკით, მსურდა პეშვით

ამან თუ ეს გააგრძელა
როდის ვბარო, როგორ ვთესო
უფალო, გთხოვ წვიმის ნაცვლად
მზიანი დღე დამიწესო...

ხარობს ბაღი და ვენახი
მზე ანათებს, თავანკარა
კაცი სიცხით გათანგული
ბედს უჩივის წარა-მარა:

გვალვა არის, გვალვის გამო
გადახმება მოსავალი
თავი როგორ გავიტანო
არ დამედოს ქვეყნის ვალი

ნეტავ თოვლი მოვიდოდეს
სიცხეს ვერსად ვემალები
ის მოკრიფე, ის დაწურე
სასიკვდილოდ ვეძალები...

ზეცის ტრიალს სად წაუხვალ
მსხვილი ფანტელები ცვივა...
მზეც არა ჩანს ვიყინები
ღმერთო რა უზომოდ ცივა...

ეცინება ზეცის გამგეს
კაცის გული რომ მოვიგო
ეს ამინდი როგორ ვცვალო
როდის რა სურს, რა გავიგო?

...

გამოცანა ასეთია:
დრო ხვალისა, დრო წასული
როგორ ამინდს ისურვებდი
დაიწყნარო ხარბი გული?

ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ

ისაა თავისუფალი
ვინც გახდა თავის უფალი

სიმართლით ლესა გონება
ზღაპრად რომ გაიგონება

ნებით იცვალა იერი
და სულით გახდა ძლიერი

დალახა მედიდურობა
ოქროს არჩია პურობა
არ გააღმერთა ქონება
ვინც ფულს არ დაემონება

არ გახდა მონა-მსახური
საჭირო, თან უსახური
არც დაამცირა უგვანო
ვისაც გინდა რომ უგანო

. . .

ასეთი კაცი ზღაპარი
ბევრიც ეძებო, სად არი?

სადღეგრძელოს გამოცანა[1]

გადამივსე ჯამში ღვინო
თამადას რად ვაწყენინო

დაგილოცოთ მასპინძელი
ფეხზე მდგომი საძმო მთელი

მერიქიფე დაუღლელი
მზარეული მოუცლელი

არ გჭირდებათ სიტყვა გრძელი
თუ ვიქნებით პირნათელი

გავიტანოთ ძმურად ლელო
ვადიადოთ საქართველო

1. ექსპრომტად თქმული.

ორი ლუკმა დავაყოლოთ
არ დავთვრეთ და ავაყროლოთ

ამის მეტი რა შეგვრჩება

. . .

მოგონება ვის დარჩება?

ფარული გამოცანა[1]

სესოსტრატისმა, ფარაონმა ღმერთთა სადარმა
ყველა დალაშქრა მეომარმა, დიდმა სარდალმა

კოლხეთში მყოფმა, აღტაცება ვეღარ დამალა
პრომეთეს კლდესთან დააჩოქა მთელი ამალა

ნილოსის შვილთა, უდაბნოებს გამოვლილებმა
ვეღარ შეჰკადრეს კოლხთა შვილებს საომრად შებმა

დაუმეგობრდნენ, სამომავლო აზრი გაცვალეს
სიკეთე თესეს, ბოროტებას არ ანაცვალეს

რაც მოეწონათ გადაიღეს, გაითავისეს
ცოდნით გონება, სიხალისით გული აივსეს

და იმას შემდეგ, წინდაცვეთა მიიღეს წესად

1. ისტორიის მამად მიჩნეული ჰეროდოტეს ცნობით, ეგვიპტის ჯარის ნაწილი მაშინ კოლხეთში დარჩა. მეომართა სადმე დასახლება ჩვეულებრივი მოვლენა იყო. სამაგიეროდ, კოლხებისგან გადაიღეს წინდაცვეთის ტრადიცია. ამ ცნობაზე ააგო დიმიტრი გულიამ აფხაზთა ეგვიპტელობის ვერსია.

ბრძენთა ანდერძით, – ცოდნა უნდა გადასცე სხვებსაც

. . .

სესოსტრატისმა რაც გაიგო, იმას რა უყო
კოლხებისაგან მიღებული იქ ვის გაუყო?

მაიმუნური გამოცანა

მაიმუნია... ადამიანზე
იტყვის მეორე ადამიანი
რას მასხარაობ და მაიმუნობ
არ მოგივიდეს რამე ზიანი

ზოგს ბუნებით აქვს ასეთი ქცევა
ზოგს სურს ეგონოთ თავქარიანი
გასარკვევია, ვინ მაიმუნობს
რომელი არი მათში ჭკვიანი?

. . .

მაიმუნობა რთული საქმეა
ისეთი ბრძნული და ეშხიანი
რომ მაიმუნი მაიმუნს ჰკილავს:
იქცევი, როგორც ადამიანი

. . .

ვინ გამოიცნოს, როდის რა ხდება
როდის ადრეა, როდის გვიანი
მაიმუნი რად ადამიანობს
რად მაიმუნობს ადამიანი?

ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ[1]

დემოკრატი ვარ, საწყლებს ვიცავ, – ამბობს მავანი
მსმენელს აბოლებს, – ვერსად ნახოთ თქვენ ჩემი მგვანი

რაც უფრო ხშირად იმეორებს, – უფრო დიდია
ჭრელი ჰალსტუხი, ხალხთან ერთად დაუკიდია

დემოკრატიად მიაჩნია სხვათა გინება
თავის შექება, საკუთარის გამოჩინება

კარვების გაშლა, შიმშილობა, დროშის ფრიალი
არჩევნების დროს კომიკობა, მარჯვედ ტრიალი...

. . .

მაგრამ თუ მოსპეს ყოველგვარი პრივილეგია
თანამდებობას მიეძალოს, – განა შლეგია?

1. დემოკრატია ნიშნავს: 1 უკლებლივ ყველა თანამდებობის პირთა არჩევითობას; 2. უმაღლესი თანამდებობის პირთა ხელფასების დაყვანას კვალიფიციური მუშის ხელფასამდე ანუ ხელფასების მინიმუმისა და მაქსიმუმს შორის 1:3, 1:5 თანაფარდობის დაწესებას; 3. თანამდებობის პირთათვის ყოველგვარი პრივილეგიების ლიკვიდაციას.

ხელფასიც მცირე, რასაც ითხოვს დემოკრატია?
ასპარეზია ეს ქვეყანა, განა ხატია

სხვათა გულისთვის დაისაჯოს და გაისარჯოს
ის სიტყვით ამბობს, არა საქმით – ხალხს გაუმარჯოს!..

. . .

ხვალის იმედი ამდაგვართა დანახატია
დემოკრატია? ვინაც ამბობს: დემოკრატია

ᲞᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ

შეიყვარა ანამ საბა[1]
შეეცილოს ვინმე, აბა!

მეზობელმა ვინაც სცადა
მწარე მარცხი განიცადა...

საბა ძალზე ჭკვიანია
და მის გვერდით თუ ანია

დავიწყებით თამაშობენ
შიმშილს, დაღლას ვერა გრძნობენ...

ნაყინი თუ ბურბუშელა
გასართობი არი ყველა

1. (ანა - 3წლის, საბა - 5 წლის)

ჰამაკი თუ საქანელა
დღე ილევა ნელი-ნელა...

უფროსები იძახიან
მოდით სახლში, არი გვიან

მაგრამ როცა ერთად ჰქრიან
ჭამა – ძილი რას მიჰქვიან?..

და თუ ძალით გამოჰყრიან
კვლავ ერთმანეთს მისტირიან

. . .

ნეტავ, ასე რატომ ხდება
ბავშვს ბავშვები რად უნდება?

ᲩᲔᲛᲘ ᲒᲐᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ

მთელი ღამე შუქი მენთო
მთელი ღამე ვიწვალე
გავიხსენე, შევაფასე
აზრი ვერ შევიცვალე

რა ყოფილა უძილობა
ფიქრებს აფორიაქებს
აწმყოს წარსულს შეაჯახებს
დაიწუნებს, შეაქებს

მხოლოდ ერთხელ და შემთხვევით
ქვეყნად თუ ვიბადები
რად მაწუბებს მომავალი
მკლავს წარსულზე დარდები?

რაა არსი ამ სიცოცხლის
ან ცხოვრების შედეგი?
ერთი წავა და სხვა მოვა
რომ ეწამოს შემდეგი?

. . .

ვინ ამიხსნას გამოცანა
რაა ყოფის მიზანი
იმან მითხრას ვინაც იცის
მე ვერ ამოვიცანი.

გაოცებულთა გამოცანა

ქვეყანა არი გაოცებული
სიმართლე ძებნეს, ჩანს დაკარგული
ბევრი გაიქცა დამცირებული
ბევრი იმედის დარჩა ერთგული

ბელადებს ისე უჭირავთ თავი
როგორც ყანაში ფუჭი თავთავი
სიკეთე უნდათ, გამოსდით ავი
იმათ სიმდიდრე, ხალხს კი ნაგავი

სიმართლისათვის თავს ვინ გადადებს
სიცრუით უკეთ გამოსდით საქმე
. . .
თუ გაოცების მოვიხსნით განცდებს
როგორ სიმართლეს ვიხილავთ აქვე?

ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ

აკადემია თამადებისა
მსურდა შემექმნა სასწავლად სხვისა

ბევრი ვეცადე და ვერ შევძელი
ვერ მოვაწონე ამ ახლებს ძველი

...

სიმართლისათვის მუდამ ვიბრძოდი
თეთრი ყვავივით შავებში ვჩნდოდი
დავა-კამათი მქონია ხშირი
სამართლიანთა მსურდა კავშირი

...

ბედის გამრიგემ ისე ინება
ვერ ავისრულე ორი ოცნება
ამას მესამე მიემატება
ნეტა ის ორი თუ ამიხდება?

სიყვარულის გამოცანა

სიყვარულია ასეთი ფიქრი?
ის ერთი გხიბლავს, იმისკენ მიჰქრი

მიხვალ, შეგხვდება იქვე მეორე
იგივე გრძნობა გაიმეორე

შემდეგ მესამე, კიდევ ახალი
ფიქრი ფიქრს ებრძვის თავში სახალი

რამდენიც ნახე სანდო-ლამაზი
გამოიცვალა გულის ნახაზი.

. . .

ყველა, ვინც გხიბლავს შენი გახდება?
გრძნობაც გაცვდება, გადაგვარდება
თუ შეხვედრისას ყალყზე დგას გული
ეს სიძვა არი თუ სიყვარული?

ცრუ გამოცანა

სანამ იტყვი არი ასე
მიდი, ნახე, შეაფასე,
აზრი საქმეს დაამსგავსე
ამის მერე იბაასე

ლაპარაკი ადვილია
თავხედისთვის გზა ხსნილია
ისეც იტყვის, ასეც იტყვის
მისთვის ყველა ნამდვილია

მუდამ ასე როდი ხდება
დრო მოიტანს გაცრუვდება
მისი საქმეც გაცუდდება
შენგან მას რა ეწოდება?

კაცის გამოცანა

ახლა ითქმება – ადამიანი
ძველად იტყოდნენ კაცური-კაცი
აქ მამა-კაცი, იქ დედა-კაცი
ერთობისათვის ორნივ მამაცი

დღეს დედაკაცის თქმა სირცხვილია
დაკარგულია თქმა – მამაკაცი
რადგან ამ ქვეყნად არეულია
ვინაა თხა და ვინაა ვაცი

წუთი-სოფელი გამოცანაა
მთელი ცხოვრება იმის ძიება
ვინც იბადება, მათში ვინაა
კაცი ვინაა, კაცს ვინ მიება

ყველას თავისი სასინჯი ქვა აქვს
ყველას თავისი აზრი აწუხებს
ზოგი საკუთარ თავში იცემს ქვას
ზოგი სხვებისთვის ჭედავს მარწუხებს

ადამიანად ვინც იბადება.
მათგან რამდენი გახდება კაცი?
რით გამოიცნობ, – როცა შეგხვდება
ვინ დედალია და ვინ მამაცი?

სამშობლოს გამოცანა

სამშობლომ უნდა აღზარდოს შვილი
თუ სურს სამშობლოს რომ გამოადგეს
როგორც მუშაკმა გაიღოს წვლილი
როგორც დარაჯი საზღვრებთან დადგეს

როცა სამშობლო შვილს არ პატრონობს
და სამათხოვროდ ჰყავს განწირული
გზას არ უკაფავს, თავისად არ ცნობს
ასეთი მხარე გახდება კრული

იტყვი: სადა აქვს საწყალს სამშობლო
ლუკმა პურისთვის არი მებრძოლი
მისთვის ქვეყანა ხდება საობლო
მშიერ-მაძღარნი არიან ტოლი?

მშობელი როცა ასხვისებს შვილებს
შვილი გახდება მიუსაფარი
ამ დროს მაძღარი ლხენით იძინებს
ასეთი მხარე სამშობლო არი?

იძულებული სხვა მხარეს მიდის
ცრემლი აღრჩობს და გული აქვს მკვდარი
ხელისუფალი შინ რჩება მშვიდი
ასეთი მხარე სამშობლო არი?

რწმენის გამოცანა

ბრმად მორწმუნე ნუ ვიქნებით
სხვისი რწმენის შემოქმედი
ბავშვში ვზარდოთ დაფიქრებით
მისასვლელი, გასახედი

მაგრამ როცა სულ პატარას
ნათლავენ და აჯერებენ
ანგელოზებს უნიშნავენ
ბოროტ სულებს აჩერებენ

რას ეტყვიან, უნდა სწამდეს
ასე თქვი და ის აკეთო
რათა მისი სხვისას ჰგავდეს
ეს სწავლაა სასიკეთო?

ბავშვი როცა იბადება
ანა-ბანა როდი იცის
სწავლობს როცა დიდი ხდება
გამგებია დანაფიცის

რწმენაც უნდა მაშინ ვზარდოთ
როცა არჩევს ტყუილ-მართალს
სხვაფრივ, სიბრძნე ჩვილს რომ ვანდოთ
დაგვიბრუნებს რა სამართალს?

ჭორის გამოცანა

რაც არ ვიცი, ის არ ვიცი
მომიცია ამის ფიცი

შენ თუ იცი, რომ მე ვიცი
დამიბრუნე დანაფიცი

ამის მერე გავაგრძელოთ
ვიკამათოთ და გავწელოთ

მზე ჩავა, მთვარე ამოვა
ჭორის მეტი რა გამოვა?

რადგან ვიცი, რომ არ ვიცი
შენ კი იცი, რომ მე ვიცი?

რაც ითქმება და რაც ითქვა
საქმეა თუ ფუჭი სიტყვა?

ᲥᲣᲠᲓᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ

აფერისტი და იურისტი განა ერთია?
ფულის გულისთვის მათი საქმე შენაერთია?

ერთი იპარავს, თაღლითობს და ტყუილად ფიცავს?
მეორე ფიცავს ფულის ფასად, მომპარავს იცავს?

იმათ ქცევაში ძნელი არი ნახო სხვაობა?
ერთი ქურდია, მეორე კი მისი რაობა?

თუ გამგებელმა მათ ასეთი არგუნა ბედი
უნდა აგინონ თავის საქმე და შემოქმედი?

ქურდი რომ ქურდობს, ასეთი აქვს ქვეყნად ხელობა?
იურისტი რომ გაამართლებს, ან აქვს მცდელობა

ყაჩაღი როცა დაყაჩაღობს, დრო აქვს ომისა
თან იმედი აქვს იურისტის, წილის მდომისა?

გასაგებია ძნელად, მაინც მისაღებია
მაგრამ მკვლელებს რომ რიხით იცავს წასაგებია

და ამის გარდა, ერთი იცავს მოკლულის მხარეს,
მკვლელს კი დაიცავს, დიდი ფულით ვინც გაამყარეს

ორნივ მართალი, პირნათელი ვით იქნებიან?
აფერისტობენ დამცველები და ვერ ხვდებიან?

ქვეყნად რა დალევს იურისტებს, მათ დასაცავებს
ტყუილს და მართალს მათ ქცევაში ვინ გააზავებს?

ნათქვამი არი: ქურდის ქურდი ცხონებულია
ამოიცანი, ასეთი გზით ვისაც უვლია.

ტყუილის გამოცანა

გვატყებენ?.. თავს ვიტყუებთ
თუმცა ტყუილს კარგად ვხვდებით
მხოლოდ თავს ვერ ვეცრუებით
ტყუილად ვერ დავბერდებით

ბავშვობაში თუ გვატყუეს
გვეჯერა და აზრი ჰქონდა
გაგვკილეს და გაგვაჩუმეს
დასკვნა თუ სხვა გამოგვქონდა

დიდს ბავშვებს ვერ დაადარებ
დიდის ვალი სულ სხვა არი
ტყუილით ვერ დააწყნარებ
თუ ცხოვრება არი მწარი

ხელისუფალს თუ ჰგონია
სულ ქვეითნი ტყუვდებიან

სად იშრომონ, რა იშოვონ
ამის ძებნას უნდებიან

მდიდარი რომ ღარიბს ურჩევს
თავი როგორ გაიტანოს
ღარიბი თუ მშვიდად უსმენს
გასკდეს მიწა, – ჩაიტანოს

ვინც გამდიდრდა, იშვიათად
შრომით, ნიჭის უნარითა
უმეტესნი თაღლითობით
ქურდობით და მუქარითა

. . .

გამოცანა იმაშია,
დღეს სხვის ტყუილს თუ კი ვხვდებით
მუდამ უნდა მოვითმინოთ
თუ პირს შევკრავთ – ავმხედრდებით?

ᲚᲝᲗᲣᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ[1]

ჩვენ პირობა გვქონდა ხუთი
დრო ვითვალე წუთი-წუთი,

ლოდინში რომ გახდა ექვსი
გავიკეთე ცოფის ნემსი.

1. თანამეინახე კახას.

თავს ვურჩიე: „იყავ მშვიდი“,
ჩამოთავდა ასე შვიდი,

როცა უკვე გახდა რვა,
მოთმინება დამერღვა.

ღვინოს ვეცი, გახდა ცხრა,
ნაწყენობა დამიცხრა.

სმაში როცა გახდა ათი,
ვწყევლე ბედი და ყისმათი.

როცა გახდა თერთმეტი,
იძინებდა ჩერჩეტი.
...
ახლა ეს ვთქვათ, შვილო, კახა,
რომელია ჩვენში გლახა?
ვინ ვის და რა გადასძახა
ან რომელი გაილახა?

ᲐᲜᲐ-ᲑᲐᲜᲐᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ

ორის იყო როცა ანა,
არ იცოდა ანა-ბანა,

მაგრამ წიგნებს კითხულობდა,
ნახატებით ყველას სცნობდა.

ინგლისურად იმღეროდა,
სიხარულით ცაში ჰქროდა,

რუსულად რომ ლუღლუღებდა,
უცნაურად ადუღებდა.

მუნჯიაო – იძახოდნენ,
უფროსები შიშით კრთოდნენ...

როცა სამის გახდა ანა,
პირი თავად დაიბანა.

მაგიდასთან იწყო ჯდომა
და მწერლობა მოინდომა.

ყველას ხატავს გატაცებით,
დაიღალნენ მისი ქებით,

როცა მღერის ინგლისურად,
რუსულს ურევს ორლესულად.

იმახსოვრებს ქართულ ჰანგებს,
ხიბლავს მსმენელს – აზრის გამგებს...

თუ ასევე გააგრძელა,
ირგვლივ სიბრძნე გაავრცელა,

დასჭირდება დიდი ხანი,
რომ ისწავლოს ანი-ბანი?

სარჩევი

გამოცანის ამოცანა- 3
უმთავრესი გამოცანა - - - - - - - - - - - - - - - - - - - 4
ღვთიური გამოცანა- 5
დაბადების გამოცანა - - - - - - - - - - - - - - - - - - - 6
ცხოვრების გამოცანა - - - - - - - - - - - - - - - - - - - 7
მიწის გამოცანა - 7
ადამიანური გამოცანა - - - - - - - - - - - - - - - - - - 8
გამოცანის გამოცანა - - - - - - - - - - - - - - - - - - -10
ყოველდღიური გამოცანა - - - - - - - - - - - - - - - - -11
შერეული გამოცანა - - - - - - - - - - - - - - - - - - -11
რუსთაველის გამოცანა - - - - - - - - - - - - - - - - -14
გამოცდილი გამოცანა - - - - - - - - - - - - - - - - - -15
მიკიბული გამოცანა - - - - - - - - - - - - - - - - - - -16
შარიანი გამოცანა -16
თავისუფლების გამოცანა - - - - - - - - - - - - - - - -18
სადღეგრძელოს გამოცანა- - - - - - - - - - - - - - - -19
ფარული გამოცანა -20
მაიმუნური გამოცანა- - - - - - - - - - - - - - - - - - -21
დემოკრატიის გამოცანა - - - - - - - - - - - - - - - - -22
პატარების გამოცანა - - - - - - - - - - - - - - - - - - -23
ჩემი გამოცანა -24
გაოცებულთა გამოცანა- - - - - - - - - - - - - - - - - -25
ოცნების გამოცანა -26

სიყვარულის გამოცანა - - - - - - - - - - - - - - - - - -27
ცრუ გამოცანა- -27
კაცის გამოცანა -28
სამშობლოს გამოცანა - - - - - - - - - - - - - - - - - -29
რწმენის გამოცანა - - - - - - - - - - - - - - - - - - -30
ჭორის გამოცანა -31
ქურდობის გამოცანა - - - - - - - - - - - - - - - - - -32
ტყუილის გამოცანა- - - - - - - - - - - - - - - - - - -33
ლოთური გამოცანა- - - - - - - - - - - - - - - - - - -34
ანა-ბანას გამოცანა- - - - - - - - - - - - - - - - - - -35